# ხელშეკრულება 4

## საინფორმაციო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

09 იანვარი 2017წელი

ერთი მხრივ, შპს "09.TECH" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ავთანდილ გოძელიშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის 141ე საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე სამუშიას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს საინფორმაციო ცენტრ 118-09-ის – (შემდგომში 09) მეშვეობით შემსყიდველისათვის სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების გაწევას, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მიღებული მომსახურების ანაზღაურება.

1.2 ხელშეკრულებას თან ერთვის სატელეფონო მომსახურების სახეები და ტარიფები დანართ №1-ის სახით.

1.3 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართ №2-ის სახით შემსყიდველის კუთვნილი სატელეფონო ნომრები (ნუმერაცია).

1.4 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1 განახორციელოს მომსახურება მისი საინფორმაციო ბაზის საფუძველზე და იყოს პასუხისმგებელი მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე.

2.1.2 მოიძიოს ინფორმაცია პირველწყაროსგან, თუ მოთხოვილი ინფორმაცია არ მოიპოვება საკუთრივ ბაზაში.

2.1.3 იქონიოს ყოველი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მიზნით და მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს იგი შემსყიდველს.

2.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.2.1 მიაწოდოს შემსყიდველს ახალი მომსახურების სახეები არსებული ტარიფების ფარგლებში.

2.3 შემსყიდველი ვალდებულია:

2.3.1 მიაწოდოს მიმწოდებელს ინფორმაცია მისი სატელეფონო ნომრების ცვლილების შესახებ, ცვლილებამდე არაუგვიანეს 3 დღისა. შეუტყობინებლობის შემთხვევაში მომსახურება ავტომატურად მიეწოდება ასეთი ნომრებიდან განხორციელებულ ზარებს. ნომერი, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების დროს ეკუთვნოდა შემსყიდველს, მაგრამ ის შემსყიდველის მიერ არ დაფიქსირდა დანართ №2-ში და ამ ნომრიდან განხორციელდება ზარი მიმწოდებლის საინფორმაციო ცენტრში, მასზე ასევე ავტომატურად გავრცელდება, როგორც მომსახურება, ისე ამ მომსახურების საფასურის შემსყიდველის მხრიდან გადახდის ვალდებულება.

2.3.2 მიახდინოს მიღებული მომსახურების საფასურის გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

2.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

2.4.1 მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადო შესრულება.

**3. მხარეთა ანგარიშსწორება**

3.1 მხარეთა შორის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე;

3.2 მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საანგარიშო პერიოდის გაწეულ მომსახურებაზე და წარუდგენს მას საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა;

3.4იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ მიღებული მომსახურების ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების საერთო ღირებულებას, ანგარიშსწორება მოხდება მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმებით, შედარების აქტის საფუძველზე.

3.5მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100(ასს ლარს)

**4. მხარეთა შეტყობინებები**

4.1 მხარეთა შორის შეტყობინებები იგზავნება წერილობითი ან ელექტრონული სახით, მათ შორის უთანაბრდება ინტერნეტში მხარის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება და ავტომატური სატელეფონო ზარები დავალიანების შესახებ;

4.2 ელექტრონული სახით მხარეები შეტყობინებებს ერთმანეთს უგზავნიან შემდეგ მისამართზე: (მიმწოდებელი) office@09.ge (შემსყიდველი) skola141@yahoo.com

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება მოქმედებს ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 1 წლის მანძილზე და ავტომატურად გრძელდება თუ მხარეები არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს წერილობითი ფორმით, შეწყვეტამდე 30 დღით ადრე.

5.2 დასაშვებია ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა ინიციატორი მხარის მიერ 30 დღით ადრე წერილობითი ფორმის შეტყობინებით;

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

6.2 ფორს-მაჟორის დადგომის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები;

7. სხვა პირობები

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან უფლება-მოვალეობები განახორციელონ კეთილსინდისიერად, ერთმანეთის საქმიანი რეპუტაციის შეულახავად.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობით, დამატებითი შეთანხმების სახით და ხელშეკრულების დანართებთან ერთად წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.3 ხელშეკრულებაში რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მთლიანად ბათილობას;

7.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისგან მათი სრულად შესრულების მომენტამდე.

7.5 მხარეებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება უნდა მოგვარდეს ურთიერთ მოლაპარაკების გზით. ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.6 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

7.7 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემა მხარეებს;

8. მხარეთა რეკვიზიტები

შპს "09.TECH"

ს/კ №401981646

ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #5

მიმღები ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: *TBCBGE22*

GE30TB7474136080100002

დირექტორი

ავთანდილ გრძელიშვილი

141-ე საჯარო სკოლა

ს/კ 200007679

დ.გურამიშვილის 14ა

ლიბერთი ბანკი

ბანკის

ა/ა GE08LB0121185641835000

დირექტორი

დანართი №1

| № | ინფორმაციის დასახელება | ტარიფი თითოეულ მოწოდებულ ინფორმაციაზე |
|---|---|---|
| 1 | ამინდის პროგნოზი საქართველოს ტერიტორიაზე | 1.30 |
| 2 | ტელეპროგრამა | 1.30 |
| 3 | ზუსტი დრო | 1.30 |
| 4 | აბონენტის მიერ მოწოდებული მოკლე ტექსტური შეტყობინების GSM-ის აბონენტისათვის ანონიმურად გადაგზავნა (მომსახურება ვრცელდება როგორც მობილური, ასევე სტაციონალური ტელეფონიდან შემოსულ ზარზე). | 1.30 |
| 5 | დღის ასტროლოგიური პროგნოზი ( ჰოროსკოპი) | 1.30 |
| 6 | კვირის ასტროლოგიური პროგნოზი (ჰოროსკოპი) | 1.30 |
| 7 | მაღვიძარა, შეხსენება | 1.30 |
| 8 | ქალაქის სამგზავრო მიკროავტობუსების მარშრუტები | 1.30 |
| 9 | კალენდარი (მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღები, დღესასწაულები და სხვა) | 1.30 |
| 10 | თბილისის სატელეფონო ქსელის აბონენტის ტელეფონის ნომერი | 1.30 |
| 11 | სატელეფონო კავშირის კოდები (საერთაშორისო გამსვლელი, მსოფლიოს ქვეყნების, ქალაქების, GSM-ოპერატორების) | 1.30 |
| 12 | საზღვარგარეთ დარეკვის კოდები | 1.30 |

| | | |
|---|---|---|
| 13 | საერთაშორისო სატელეფონო ოპერატორების ტარიფები | 1.30 |
| 14 | მსოფლიო ქვეყნების ვალუტის კურსები | 1.30 |
| 15 | თბილისის ქუჩების ცნობარი | 1.30 |
| 16 | საფოსტო ინდექსი | 1.30 |
| 17 | დროის ზონები | 1.30 |
| 18 | მანძილი საქართველოს ქალაქებს შორის | 1.30 |
| 19 | სპორტული შეხვედრების ანგარიშები (ქქვსი შეხვედრის შედეგი ერთად) | 1.30 |
| 20 | ავიაციის, რკინიგზის და ავტომობილური საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი, ოპერატიული ინფორმაცია განრიგის შეცვლის ან დარღვევის შესახებ. | 1.30 |
| 21 | ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი, მისამართი, საქმიანობა, ელფოსტა, WEB-გვერდი | 1.30 |
| 22 | დასახელებული ტელეფონის მიხედვით სრული ინფორმაციის გაცემა მის მფლობელზე (09-ს მომსახურეობათა ნუსხის ფარგლებში) | 1.30 |
| 23 | “კულინარია” – ტელეარხი “რუსთავი2”-ს გადაცემა “მზარეულიდან” | 1.30 |
| 24 | არასტანდარტული ინფორმაცია (არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ 09-ს მომსახურებათა ნუსხაში) | 1.50 |
| 25 | დეტალური ამონაწერი მოთხოვნის შემთხვევაში (ნომრის, თარიღის და ზუსტი დროის მითითებით) | 10 ლარი |

დანართი №2

შემსყიდველის სატელეფონო ნუმერაცია.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 26 | | 51 | | 76 | |
| 2 | | 27 | | 52 | | 77 | |
| 3 | | 28 | | 53 | | 78 | |
| 4 | | 29 | | 54 | | 79 | |
| 5 | | 30 | | 55 | | 80 | |
| 6 | | 31 | | 56 | | 81 | |
| 7 | | 32 | | 57 | | 82 | |
| 8 | | 33 | | 58 | | 83 | |
| 9 | | 34 | | 59 | | 84 | |
| 10 | | 35 | | 60 | | 85 | |
| 11 | | 36 | | 61 | | 86 | |
| 12 | | 37 | | 62 | | 87 | |
| 13 | | 38 | | 63 | | 88 | |
| 14 | | 39 | | 64 | | 89 | |
| 15 | | 40 | | 65 | | 90 | |
| 16 | | 41 | | 66 | | 91 | |
| 17 | | 42 | | 67 | | 92 | |
| 18 | | 43 | | 68 | | 93 | |
| 19 | | 44 | | 69 | | 94 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | | 45 | | 70 | | 95 | |
| 21 | | 46 | | 71 | | 96 | |
| 22 | | 47 | | 72 | | 97 | |
| 23 | | 48 | | 73 | | 98 | |
| 24 | | 49 | | 74 | | 99 | |
| 25 | | 50 | | 75 | | 100 | |

8. მხარეთა რეკვიზიტები

შპს "09.TECH"

ს/კ №401981646

ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #5

მიმღები ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: *TBCBGE22*

ა/ა GE30TB7474136080100002

დირექტორი

ავთანდილ გრძელიშვილი

141-საჯარო სკოლა

ს/კ 200007679

გურამიშვილის 14ა

ლიბერთი ბანკი

*ბანკის კოდიLBRTGE22*

ა/ა GE08LB0121185641835000

დირექტორი